შეტყობინება ტენდერის გამოცხადების შესახებ

(სტანდარტული ფორმა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში)

საერთაშორისო მოწვევა ტენდერში (სამშენებლო სამუშაოები)

საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი

საქართველო

ევროკავშირმა საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში „კლიენტი“), გამოუყო გრანტი (შემდგომში „გრანტი“), რომელიც ადმინისტრირდება ევროპის საინვესტიციო ბანკის (შემდგომში „ბანკი“) მიერ და ხორციელდება საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ. საერთაშორისო მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად უკავშირდება საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებს — დასავლეთ საქართველოში (ლოტი I) და აღმოსავლეთ საქართველოში (ლოტი II).

საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის (GTC) — საქართველოს საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტის მიზანია საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ისწრაფვის გახდეს რეგიონალური სატრანსპორტო-ტრანზიტული ჰაბი აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მარშრუტების ცენტრში, გზების უსაფრთხოების გაუმჯობესება, მაღალი რისკის მქონე გაფართოებულ TEN-T ქსელში განთავსებულ დერეფნებზე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონული ინტეგრაციის გაუმჯობესებას და ამავდროულად, შეამცირებს საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებულ რისკებს.

პროექტის მთავარი მიზანია საქართველოს გაფართოებულ TEN-T ქსელში არსებული შერჩეული „შავი წერტილების“ აღმოფხვრა და გზის უსაფრთხოების გაუმჯობესება. პროექტის ძირითადი მოსალოდნელი სარგებელია საგზაო შემთხვევების რაოდენობისა და სიმძიმის შემცირება. შერჩეულ საგზაო მონაკვეთებზე (შავ წერტილებზე) სამშენებლო სამუშაოები მოიცავს კონკრეტულ ფიზიკურ უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებებს.

სამშენებლო სამუშაოების განხორციელების სავარაუდო პერიოდია 2026 წელი.

ქვემოთ მოცემულია სატენდერო წინადადებების შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

1) **ფინანსური მოთხოვნები**

ა) მოთხოვნა - აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, ან თუ არ მოითხოვება პრეტენდენტის ქვეყნის კანონმდებლობით, სხვა ფინანსური უწყისები, რომლებიც უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ (ინგლისურად, აპოსტილის ბეჭდით დამოწმებული), ბოლო 3 წლის (2022, 2023, 2024) პერიოდისთვის, რომლითაც დასტურდება პრეტენდენტის მყარი ფინანსური მდგომარეობა. მინიმუმ

პრეტენდენტის წმინდა ღირებულება (აქტივების ღირებულება), რომელიც გამოითვლება მთლიანი აქტივებსა და მთლიან ვალდებულებას შორის სხვაობით, ბოლო წლის მონაცემებით უნდა იყოს დადებითი.

შესაბამისობის მოთხოვნები - **ერთი წევრი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, თითოეული პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას.

ბ) მოთხოვნა - მინიმალური საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა:

- ლოტი I: 6,500,000 (ექვსი მილიონ ხუთასი ათასი) ევროს ექვივალენტი,
- ლოტი II: 3,000,000 (სამი მილიონი) ევროს ექვივალენტი,
- ჯამურად ლოტი I და ლოტი II: 9,500,000.00 (ცხრა მილიონ ხუთასი ათასი) ევროს ექვივალენტი,

გამოითვლება როგორც მიმდინარე ან დასრულებული ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი თანხიდან, ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში: 2022, 2023 და 2024, გაყოფილი 3-ზე (სამზე).

შესაბამისობის მოთხოვნები - **ერთი წევრი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, **ყველა პარტნიორი ჯამურად** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, **თითოეული პარტნიორი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას *არანაკლებ მოთხოვნის 20%-ისა* და **ერთი პარტნიორი უნდა** აკმაყოფილებდეს *მოთხოვნას არანაკლებ 40%-ისა.*

გ) მოთხოვნა - პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ FIN-3-ში მოცემული თავისი ფინანსური რესურსი, FIN-4-ში განსაზღვრული მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების გამოკლებით, აკმაყოფილებს ან აჭარბებს მთლიან მოთხოვნას წინამდებარე კონტრაქტებისთვის:

- ლოტი I: 1,600,000 (მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ექვივალენტი,
- ლოტი II: 1,000,000 (ერთი მილიონი) ევროს ექვივალენტი,
- ჯამურად ლოტი I და ლოტი II: 2,600,000 (ორი მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ექვივალენტი.

შესაბამისობის მოთხოვნები - **ერთი წევრი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, **ერთი პარტნიორი** უნდა ადასტურებდეს, რომ FIN-3-ში მოცემული მისი ფინანსური რესურსი, FIN-4-ში მითითებული მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების გამოკლებით, აკმაყოფილებს ან აჭარბებს მის წილობრივ მოთხოვნებს:

- ლოტი I: 640,000 (ექვსასორმოცი ათასი) ევროს ექვივალენტი,
- ლოტი II: 400,000 (ოთხასი ათასი) ევროს ექვივალენტი,

- ჯამურად ლოტი I და ლოტი II: 1,040,000 (მილიონ ორმოცი ათასი) ევროს ექვივალენტი

წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი მოთხოვნიდან; **თითოეული პარტნიორი** უნდა ადასტურებდეს, რომ FIN - 3-ში მითითებული მისი ფინანსური რესურსი, FIN - 4-ში მოცემული მისი ფინანსური ვალდებულებების გამოკლებით , აკმაყოფილებს ან აჭარბებს მის წილობრივ მოთხოვნებს:

- ლოტი I: 320,000 (სამასოცი ათასი) ევროს ექვივალენტი,
- ლოტი II: 200,000 (ორასი ათასი) ევროს ექვივალენტი,
- ჯამურად ლოტი I და ლოტი II: 520,000 (ხუთასოცი ათასი) ევროს ექვივალენტი

წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი მოთხოვნიდან; **ერთობლივი საწარმო** უნდა ადასტურებდეს, რომ ყველა პარტნიორის კომბინირებული ფინანსური რესურსი, FIN - 3-ში მითითებული მისი ფინანსური რესურსი, FIN - 4-ში მოცემული მისი ფინანსური ვალდებულებების გამოკლებით, აკმაყოფილებს ან აჭარბებს მის წილობრივ მოთხოვნებს:

- ლოტი I: 1,600,000 (მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ექვივალენტი,
- ლოტი II: 1,000,000 (ერთი მილიონი) ევროს ექვივალენტი,
- ჯამურად ლოტი I და ლოტი II: 2,600,000 (ორი მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ექვივალენტი

2) სამშენებლო გამოცდილება:

ა) მოთხოვნა - ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის[1], მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს 2020 წლის 1 იანვრიდან წინადადების წარდგენის ბოლო ვადამდე ქვემოთ მითითებული მსგავსი ხელშეკრულებების მინიმალურ რაოდენობას რომლეც წარმატებით ან მშნივნელოვნად დასრულებულია[2]:

<u>ლოტი I:</u>

---

[1] კონტრაქტებისთვის, რომლებშიც პრეტენდენტი მონაწილეობდა როგორც ერთობლივი საწარმოს წევრი ან ქვეკონტრაქტორი, მხოლოდ პრეტენდენტის წილი, ღირებულებით, ჩაითვლება ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

[2] EXP-1ის ფორმაზე დამატებით, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

მშნიშვნელოვად დამთავრებული კონტრაქტად ჩაითვლება კონტრაქტი რომლის ფარგლებში სამუშაოები დასრულებულია. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. ხელმოწერილი კონტრაქტი და
2. მიღება-ჩაბარების სერთიფიკატი, დასრულების სერთიფიკატი (ან მსგავსი) ან შესრილების სერთიფიკატი.

დოკუმენტებში უნდა ჩანდეს კონტრაქტის სახელწოდება, ღირებულება, დასრულების თარიღი. თუ დოკუმენტის სხვა ენაზეა, მას უნდა ახლდეს, ინგლისური დამოწმებული თარგმანი.

(i) 1 კონტრაქტი მინიმალური ღირებულებით 3,300,000 (სამი მილიონ სამასი ათასი) ევროს ექვივალენტი რომელიც უნდა მოიცავდეს საფარიანი გზების მშენებლობის/რეკონსტრუქციის/ მოდერნიზაციის/რეაბილიტაციის სამუშაოებს და გზის უსაფრთხოების აქტივობებს

<u>ლოტი II:</u>

(i) 1 კონტრაქტი მინიმალური ღირებულებით 1,550,000 (მილიონ ხუთასორმოცდაათი ათასი) ევროს ექვივალენტი რომელიც უნდა მოიცავდეს საფარიანი გზების მშენებლობის/რეკონსტრუქციის/ მოდერნიზაციის/რეაბილიტაციის სამუშაოებს და გზის უსაფრთხოების აქტივობებს

<u>ჯამურად ლოტი I და ლოტი II:</u>

(i) 1 კონტრაქტი მინიმალური ღირებულებით 4,850,000 (ოთხი მილიონ რვაასორმოცდაათი ათასი) ევროს ექვივალენტი რომელიც უნდა მოიცავდეს საფარიანი გზების მშენებლობის/რეკონსტრუქციის/ მოდერნიზაციის/რეაბილიტაციის სამუშაოებს და გზის უსაფრთხოების აქტივობებს

შესაბამისობის მოთხოვნები - **ერთი წევრი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმოს** შემთხვევაში, **ყველა პარტნიორი ჯამურად**[3] უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას.

3) მშენებლობის გამოცდილება შემდეგ ძირითად სამუშაოებში:

ა) მოთხოვნა - ზემოაღნიშნულ ან სხვა კონტრაქტების ფარგლებში, რომელიც განხორციელდა ზემოთ აღნიშნულ პერიოდში, მინიმალური სამშენებლო გამოცდილება შემდეგ ძირითად სამუშაოებში:

- არანაკლებ:
  - ლოტი I: 12,500 მ
  - ლოტი II: 1,400 მ
  - ჯამურად ლოტი I და ლოტი II: 13,900 მ

[3] ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მისი წევრების მიერ დასრულებული ხელშეკრულებების ღირებულება არ უნდა იყოს დაჯამებული, რათა დადგინდეს, დაკმაყოფილებულია თუ არა ერთი კონტრაქტის მინიმალური ღირებულების მოთხოვნა. ამის ნაცვლად, თითოეული წევრის მიერ შესრულებული ყოველი კონტრაქტი, რომელიც ხელს უწყობს მოთხოვნის შესრულებას, უნდა აკმაყოფილებდეს ერთი ხელშეკრულების მინიმალურ ღირებულებას, როგორც ეს საჭიროა ერთი სუბიექტისთვის. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, დაჯამდება მხოლოდ ყველა წევრის მიერ დასრულებული კონტრაქტების ის რაოდენობა, რომელთა ღირებულება ტოლია ან აღემატება მინიმალურ მოთხოვნას.

ლითონის მრუდხაზოვანი ძელები, შესრულებული 2020 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადამდე ნებისმიერ ორ უწყვეტ წელიწადში[4];

- გზის საფარის მშენებლობა არანაკლებ:
  - ლოტი I: 41,500 მ^2
  - ლოტი II: 21,000 მ^2
  - ჯამურად ლოტი I და ლოტი II: 62,500 მ^2

უწყვეტი 2 წლის განმავლობაში 2020 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში;

შესაბამისობის მოთხოვნები - **ერთი წევრი** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას და **ერთობლივი საწარმო** უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას.

დაინტერესებული კომპანიები ტენდერში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის საინვესტიციო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით: https://www.eib.org/en/publications/20240132-guide-to-procurement-for-projects-financed-by-the-eib

დაინტერესებულ უფლებამოსილ კომპანიებს დეტალური ინფორმაციის და სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ დეპარტამენტისთვის მომართვით:

ვის: ქალბატონ სალომე წურწუმიას - თავმჯდომარის მოადგილეს
მისამართი: ალ ყაზბეგის 12, 0160 თბილისი, საქართველო
ელ–ფოსტა: info@georoad.ge
ana.gogs@gmail.com
levan.kupatashvili@georoad.ge

დაინტერესებულ კომპანიებს აქვთ სატენდერო დოკუმენტაციის მიღების შემდეგი შესაძლებლობები:

1. ელექტრონულ ფოსტაზე გამოაგზავნონ მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაციის მიწოდების თაობაზე, დაინტერესებული კომპანიის სახელის და საკონტაქტო ინფორმაციის (ელექტრონული ფოსტის და მისამართის) მითითებით. მოთხოვნის მიღების და შემოწმების შემდეგ, სატენდერო დოკუმენტაცია გაიგზავნება მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, Dropbox-ის ბმულით. დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას მეილის წარუმატებლად მიწოდების თაობაზე;
2. წერილობითი მოთხოვნა წარმოადგინოს ხელზე უფლებამოსილმა პირმა ზემოთ მითითებულ მისამართზე.

[4] შეიძლება შესრულდეს სპეციალიზებული ქვეკონტრაქტორების მიერ. დამკვეთი უფლებამოსილია პრეტენდენტისგან მოითხოვოს ქვეკონტრაქტის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა და ვალუტა უნდა იყოს:

- I ლოტისთვის: 305,000 ლარი (სამას ხუთი ათასი) ან მისი ექვივალენტი თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში,
- II ლოტისთვის: 145,000 ლარი (ასორმოცდახუთი ათასი) ან მისი ექვივალენტი თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში.

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის თანხა კონვერტირებული ვალუტაში, განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადამდე 28 დღით ადრე.

ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული პირობების შესრულება.

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას დალუქული კონვერტებით, წარწერით: „საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები — დასავლეთ საქართველოში (ლოტი I) და აღმოსავლეთ საქართველოში (ლოტი II)“, არაუგვიანეს 2025 წლის 3 დეკემბრისა 15:00 საათამდე ადგილობრივი დროით, შემდეგ მისამართზე: ალ. ყაზბეგის გამზირი 12, 0160, თბილისი, საქართველო, ოთახი 413, მეოთხე სართული. სატენდერო წინადადებები გაიხსნება დაუყოვნებლივ, პრეტენდენტთა წარმომადგენლების თანდასწრებით.

<u>შენიშვნა:</u> უპირატესობა ენიჭება შესყიდვების განაცხადის ინგლისურენოვან ვერსიას.